2295/57

ხელშეკრულება წყალარინებით მომსახურების შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „23“ 03 2012 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, მინისტრის პირველი მოადგილის თამარ მარტიაშვილის სახით,

და

მეორეს მხრივ, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია”, მისი დირექტორის მოადგილის, გელა გულუას სახით,

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ტერმინთა განმარტება

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა. „ხელშეკრულება წყალარინებით მომსახურების შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

ბ. „შემსყიდველი ორგანიზაცია“/„შემსყიდველი“ – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

გ. „მიმწოდებელი“ - შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია”.

დ. “მხარეები” – შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი ერთობლივად, კონტექსტის შესაბამისად.

ე. “დანართი” – ამ ხელშეკრულების დანართი, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

ვ. “ობიექტი” – დანართში მითითებული დევნილთა კომპაქტური ჩასახლების (განსახლების) ობიექტები.

ზ. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

თ. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ ობიექტებისათვის საკანალიზაციო მომსახურების ღირებულების ანაზღაურება შემსყიდველის მიერ.

3. საკანალიზაციო მომსახურების მიწოდების ვადები

მიმწოდებელი ობიექტებისათვის საკანალიზაციო მომსახურების მიწოდებას ახორციელებს 2012 წლის 1 იანვრიდან და განახორციელებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულებაა 73 075,16 ლარი, რომელიც გამოითვლება დანართში მითითებული სულადობისა და ცალკეულ თვითმმართველ ერთეულში დადგენილი ტარიფების ნამრავლის შესაბამისად. აღნიშნული თანხა მოიცავს 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 თებერვლამდე ხელშეკრულების დანართში მითითებული ობიექტებისათვის მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საკანალიზაციო მომსახურებისა და 2012 წლის 1 თებერვლიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ხელშეკრულების დანართში მითითებული ობიექტებისათვის მიმწოდებლის მიერ სავარაუდოდ მისაწოდებელი საკანალიზაციო მომსახურების ღირებულებებს.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს დანართში მითითებულ ობიექტებში 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 თებერვლამდე ფაქტობრივად მიწოდებული საკანალიზაციო მომსახურების დავალიანება, რომელიც შეადგენს 6 089,6 ლარს. აღნიშნული თანხა გამოითვლება ხელშეკრულების დადების მომენტისთვის დანართში მითითებული სულადობისა და ხელშეკრულების

დადების მომენტისათვის ცალკეულ მუნიციპალიტეტებში არსებული ტარიფების ნამრავლის შესაბამისად.

4.3. 2012 წლის 1 თებერვლიდან ობიექტებისათვის მიწოდებული საკანალიზაციო მომსახურების ყოველთვიური ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ყოველი თვის შემდეგ მიმწოდებლის მიერ დარიცხული თანხის შესაბამისად.

4.4. ამ ხელშეკრულების 4.1 და 4.2 პუნქტით გათვალისწინებული ღირებულება შეიძლება შეიცვალოს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული შედარების აქტის საფუძველზე, ყოველთვიურად მიწოდებული კომპაქტურად განსახლების ობიექტებში რეგისტრირებულ დევნილთა რიცხოვნობის ცვლილებიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად.

5. ხელშეკრულების გასაფორმებლად წარსადგენი დოკუმენტაცია

5.1. მხარეები თანხმებიან, რომ ხელშეკრულების გასაფორმებლად მიმწოდებელმა სრულყოფილად წარუდგინა შემსყიდველს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 27 იანვრის №14 ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მიმწოდებლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ხელშეკრულებაზე უფლებამოსილი პირის უფლებამოსილების და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

დ) ცნობა საბანკო რეკვიზიტების შესახებ.

ე) საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 აგვისტოს №17 დადგენილება „წყალმომარაგების ტარიფების შესახებ“, ქ. ფოთის საკრებულოს 1999 წლის 29 ივლისის №9/10 გადაწყვეტილება „სასმელი წყლისა და ჩასაშვები ფეკალური სითხეების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ და მასში შეტანილი ცვლილებები და დამატებები, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის 2010 წლის 31 აგვისტოს ბრძანებები წყალმომარაგების ტარიფების განსაზღვრის შესახებ მათში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით.

5.2. 5.1-ში მითითებული დოკუმენტების შენახვას უზრუნველყოფს შემსყიდველი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

მიმწოდებელი ვალდებულია 1 თვით ადრე წერილობით აცნობოს შემსყიდველს, მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, აგრეთვე დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია მის მიმართ მოსალოდნელი გადახდისუუნარობის (გაკოტრების) საქმის დაწყების თაობაზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საკანალიზაციო მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში არსებულ სტანდარტებს. ამასთან, შემსყიდველი ადასტურებს, რომ 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 თებერვლამდე დანართში მითითებული ობიექტებისათვის მიწოდებული საკანალიზაციო მომსახურება აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

9.2. ამ ხელშეკრულების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული ღირებულების ანაზღაურება მოხდება დარიცხვის შესაბამისი დოკუმენტის წარდგენიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში.

9.3. ამ ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული ყოველთვიური ღირებულების ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დარიცხვის შესაბამისი დოკუმენტის წარდგენიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში.

9.4. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9.5. თუ გადახდის ბოლო დღე დაემთხვევა უქმე/არასამუშაო დღეს, გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ფორმდება ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. მხარეები თანმხდებიან, რომ საქართველოს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები, საჭიროების შემთხვევაში, გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების ცვლილებას.

11. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ხელშეკრულების მოქმედება არ არის დამოკიდებული ამ ცალკეულ პირობებზე.

14.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ ხელმოწერისთანავე.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი ეგზემპლარად და აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლარი რჩება შემსყიდველთან, ერთი – მიმწოდებელთან.

შემსყიდველი ორგანიზაცია:	**მიმწოდებელი:**
საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების **სამინისტროს/კოდი:** 200037646 **მისამართი:** ქ. თბილისი თამარაშვილის №15/ა სახელმწიფო ხაზინა **ს/კოდი** 220101222, **ა/ა** № 200122900 საკონტაქტო ტელ. ნომერი: (032) 2 311 580 მინისტრის პირველი მოადგილე თამარ მარტიაშვილი ----------	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ **ს/კოდი:** 412670097 **მისამართი:** თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 5 **ბ. კოდი:** 220101480; სს „ლიბერთი ბანკი“-ს ც/ფილიალი **ა/ა** №GE77LB0113123325230012/34087790 საკონტაქტო ტელ. ნომერი: (032) 2 919 060 კომპანიის დირექტორის მოადგილე გელა გულუა ----------